

კოგნიტური და სოციალური ფუნქციონირების დეფიციტის
ურთიერთკავშირის შესწავლა პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე
პაციენტებში

მარიამ ოქრუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყონია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ოქრუაშვილი, 25.06.2014

აბსტრაქტი

მიზანი: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტებში ფუნქციონირების ხარისხი, მისი კავშირი კოგნიტურ უნარებთან და ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებთან და ამ მაჩვენებლების ცვლილება დროთა განმავლობაში.

მეთოდოლოგია: კვლევაში მონაწილეობდა 32 პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტი და 32 ჯანმრთელი კონტროლი. პაციენტებისთვის კვლევა სამ ეტაპს მოიცავდა 6 თვის შუალედით. დიაგნოზი ისმებოდა კლინიკური ინტერვიუს საფუძველზე DSM IV-ის კრიტერიუმებით, პოზიტიური და ნეგატიური სიმპტომები ფასდებოდა პოზიტიური (SAPS) და ნეგატიური (SANS) სიმპტომების შეფასების სკალით. აღმასრულებელი ფუნქციების საკვლევად გამოიყენებოდა კოგნიტური ტესტები (WCST, CPT, SOA) როგორც პაციენტებში, ასევე საკონტროლო ჯგუფში. საკონტროლო ჯგუფის შიზოტიპური პერსონოლოგიური თავისებურებები შეფასდა შესაბამისი საკვლევი კითხვარით (SPQ –B brief version), ხოლო პაციენტებში სოციალურ ფუნქციონირებაზე ინფორმაციის მოძიება ხდებოდა ჯანმრთელობისა და გამოსავლის კითხვარით (HoNOS).

შედეგები: კოგნიტური ფუნქციები დაავადების საწყის ეტაპზე სტატისტიკურად სარწმუნოდ გაუარესებულია ჯანმრთელი საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით; ჯანმრთელი კონტროლები, რომლებსაც აღენიშნებათ კოგნიტურ პერცეპტუალური ფაქტორის მაღალი მაჩვენებელი, გაუარესებული შედეგი აჩვენებს კოგნიტურ ტესტებში; პირველი ეპიზოდიდან ორი წლის მანძილზე კოგნიტური ფუნქციების მხრივ მნიშვნელოვანი გაუარესება არ აღინიშნება; ჰონოსის სოციალური და სიმპტომური მაჩვენებელი, იმ პაციენტებში, რომლებიც იცავდნენ მკურნალობის რეჟიმს, გაუმჯობესდა.

რეკომენდაციები: საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მიუხედავად გაუარესებული კოგნიტური ფუნქციებისა, დაავადების გამოვლინებიდან 2 წელი სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლილებას არ გვამლევს კოგნიტური ფუნქციების გაუარესების მხრივ. უფრო მეტიც, მკურნალობის რეჟიმის დაცვით, მათი სოციალური და სიმპტომური მაჩვენებელი გაუმჯობესდა. პირველადი ფსიქოზური ეპიზოდი მნიშვნელოვანი პერიოდია დაავადების საწყის ეტაპზე პრევენციისთვის. სოციალური გარემოს გაუმჯობესება და სიმპტომების მაჩვენებლების სტაბილურობა დაავადების დადებითი გამოსავლის მნიშვნელოვანი პრედიკატორია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პირველადი ფსიქოზური ეპიზოდი, კოგნიტური ფუნქციონირება, სოციალური მაჩვენებელი.

Abstract

Aim:The aim of our study was to investigate the quality of functioning in patients with first psychotic episode, its relation to the cognitive skills and psychopathological symptoms and changes in these indicators over time.

Methodology: The study involved 32 patients with a first psychotic episode and 32 healthy controls. The study consisted of three phases with an interval of 6 months for patients. The diagnosis was based on DSM IV-criteria by a clinical interview, the positive and negative symptoms were evaluated for positive (SAPS) and negative (SANS) symptoms assessment scales. The study used cognitive tests(WCST, CPT,SOA) of executive functions, as the patients and the control group. Schizoid personality characteristics in the control group were evaluated by the Schizoid Personality Questionnaire – brief version (SPQ-B brief version), and social functioning of patients evaluated by Health and Outcome Scale(HoNOS).

Results:Cognitive functions at the initial stage of the disease were significantly impaired compared to the healthy controls. The patients did not show significant cognitive impairment within 2 years since the first psychotic episode. The social and symptomatic indicators of HoNOS of patient, who adhered to the treatment regime improved.

Conclusion:Baseline impaired cognitive functioning has not significantly changed since the first psychotic episode. The treatment compliance improves social and symptom indicators. First psychotic episode is an important period for prevention of cognitive and social deterioration. Supportive social environment and stable mental state are strong predictors of better outcome.

Key Words: First episode psychosis, Cognitive functions, social factor.

მადლობა

კვლევაში მონაწილეობისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მონაწილე პაციენტებსა და საკონტროლო ჯგუფის წევრებს გაწეული გულისხმიერებისთვის.

მადლობას ვუხდით კვლევის უშუალო ხელმძღვანელ მკვლევარ მაია როინიშვილს გაწეული თანამშრომლობისა და თანადგომისთვის.

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელ პროფესორ ეკა ჭყონიას გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისთვის.